სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/31

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 48-ე მუხლის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-04/77 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/4/1691 გადაწყვეტილების საფუძველზე ითვალისწინებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირის ასაკობრივი ნიშნით (65 წლის) შეზღუდვის გაუქმებასთან დაკავშირებით წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილებებს;
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**